



ს ა გ ა რ ო მ ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/20728

16/05/2018

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ ის ა დ ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ის ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმის IV თავის - „ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა“ მე-5 მუხლის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობის ფარგლებში, გიგზანით ინფორმაციას საქართველოს სასწავლო ვიზის მისაღებად საჭირო პროცედურების შესახებ ვებ-პორტალზე „ისწავლე საქართველოში“ განთავსების მიზნით:

საქართველოში გრძელვადიანი მიზნით სასწავლებლად მომავალ უცხოელებზე გაიცემა საიმიგრაციო (D3 კატეგორიის) ვიზა, რომელსაც აქვს 90 კალენდარული დღის მოქმედების ვადა და მრავალჯერადი შესვლის უფლება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება D კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სავიზო განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

გრძელვადიანი ვიზის მისაღებად ვიზის გამცემ ორგანოს წარედგინება:

1. ელექტრონულად შევსებული ხელმოწერილი სავიზო განაცხადი

2. სამგზავრო დოკუმენტი / პასპორტი

3. საკონსულო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

4. ფოტოსურათი

5. საქართველოში მგზავრობის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტები

- ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი (წერილი, სტუდენტის ბილეთი და სხვა), რომლითაც დასტურდება, რომ უცხოელი სწავლობს აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (სასწავლო კურსი, გაცვლითი პროგრამა, კვლევის განხორციელება, ენის შემსწავლელი კურსები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სხვა)

6.მგზავრობისათვის სასურველი ვადის განმავლობაში საკმარისი სახსრების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი

7.საცხოვრებელი ადგილის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი

8.სამოგზაურო და ჯანმრთელობის დაზღვევა

9.ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ უცხოელს საქართველოში კანონდარღვევით ყოფნისთვის დაეკისრა ჯარიმა

11.იმ შემთხვევაში თუ ვიზის გამცემ ორგანოში დოკუმენტების ჩაბარება ხდება წარმომადგენლების მეშვეობით, საჭიროა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელი უფლებამოსილია ვიზის მისაღებად მიმართოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს ან იუსტიციის სახლს/სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 45 დღისა, თუ იგი აკმაყოფილებს სასწავლო ვიზის გაცემის პირობებს. D3 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების უფლება აქვთ საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევის ჩასატარებლად მომავალ პირებს და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ პირებს, თუ ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების საფუძველი არ ითვალისწინებს ამ პირების საქართველოში 3 თვეზე მეტი ვადით დარჩენის შესაძლებლობას.

ვიზის გამცემი ორგანოს გადაწყვეტილება ვიზის გაცემაზე/გაგრძელებაზე უარის თქმის, ასევე ვიზის მოქმედების ვადის შეწყვეტის თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,
გიორგი ტაბატაძე



დეპარტამენტის დირექტორი
საკონსულო დეპარტამენტი